# ისრაელებმა ოქროს ხბოს კერპი ჩამოასხეს

გამოსვლა 24:9—18; 32:1—35

შეარჩიეთ ისეთი სავარჯიშოები, რომლებიც თქვენს შვილს დააინტერესებს და გამოადგება. განიხილეთ ეს სავარჯიშოები ოჯახთან ერთად.




## წაიკითხეთ გამოსვლის 24:9—18; 32:1—35.

შემდეგ წაიკითხეთ დასურათებული ბიბლიური ისტორია (ონლაინში ან ამობეჭდილი PDF ფორმატიდან) და განიხილეთ ამ ისტორიის ბოლოს დასმული კითხვები.

**მითითება:** დაეხმარეთ თქვენი უფროსი ასაკის ბავშვებს, ისწავლონ აარონის მწარე გამოცდილებიდან და არ მოექცნენ თანატოლების ზეგავლენის ქვეშ. ერთად განიხილეთ რუბრიკა „ჩემი სამოქმედო გეგმა“ წიგნიდან „ახალგაზრდების შეკითხვები — პრაქტიკული რჩევები“, ტომი 2, გვერდები 132, 133. დაეხმარეთ თქვენს შვილებს, წინასწარ მოიფიქრონ, თუ როგორ მოიქცევიან მაშინ, როცა ცუდის გაკეთების ცდუნების წინაშე აღმოჩნდებიან (წიგნი შეგიძლიათ ჩამოტვირთოთ ვებ-გვერდიდან jw.org; იხილეთ პუბლიკაციები > წიგნები და ბროშურები).

## სხვა ამოსაბეჭდი სავარჯიშოები




### სურათები

**იპოვე განსხვავება.** წაიკითხეთ გამოსვლის 32:1—8, 19. დაეხმარეთ თქვენს პატარებს, იპოვონ სამი განსხვავება სურათებს შორის და ბოლოს სთხოვეთ ბავშვებს, გააფერადონ ის სურათი, რომელზეც სწორადაა ასახული ეს ბიბლიური მონაკვეთი.




### სახალისო სავარჯიშო

**იპოვე მსგავსება ბიბლიურ პერსონაჟებს შორის.** უფროსი ასაკის ბავშვებს სთხოვეთ, ჩამოწერონ, რა მსგავსებაა მოსესა და იესოს შორის. ამაში მათ მითითებული ბიბლიური მუხლები დაეხმარებათ.




### შეაგროვე და ისწავლე

**ბიბლიური პერსონაჟის ბარათი.** ბავშვებთან ერთად წაიკითხეთ ზოგადი ცნობები და მათ ბარათზე მოცემული კითხვები დაუსვით. გამოიყენეთ ჩვენს ვებ-გვერდზე jw.org მოცემული სხვა ოთხი ღვთის ერთგული ქალის ბარათიც და სთხოვეთ ბავშვებს, დაასახელონ ის ერთი თვისება, რომელიც ყველა ამ ქალს განსაკუთრებით გამოარჩევდა.

www.jw.org © 2014 Watch Tower Bible and Tract Society of Pennsylvania